კვირა, 1918 წ. მკათათვის 7 № 132

ყოველდღიური გაზეთი

ფასი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ; რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

კვირა 1918 წ. მკათათვის 7 № 132

საქართველო

რედაქცია

ხელნაწერთა მასალა უნდა იყოს დაწერილი ქაღალდის ერთ გვერდზე. წერილს ხელმოწერილი და აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. [illegible] საჭიროების შემთხვევაში შესწორდება. დაუბეჭდავი ხელნაწერთა მასალა არ ინახება და რედაქცია ავტორთან მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართველი ქალების. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. Телеграфный адресъ: Тифлисъ, Сакартвело.

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და უფრო მეტი ხნით — 18 მ. თვეში (ნოემბრიდან) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 40 კ. განცხადების ფასი სტრიქონის პეტიტის მეოთხე გვერდზე 60 კაპ. [illegible] — 80 კაპ. საქართველოს [illegible] განცხადებათა ფასი [illegible] ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. [illegible] 1 მან. [illegible] 1 მ. და 50 კ. [illegible] 1½ საათის [illegible]. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

სახელმწიფო თეატრი

შაბათს 9 ივლისს გაიმართება

ეროვნული კონცერტი ქართველთა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა მომღერალთა გაძლიერ. გუნდი კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილის

დირიჟორობით შეასრულებს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. ქ-ნ კალანდაძის, ოპერის მომღერალ ი. პ. სარაჯიშვილის და ბ. კ. ინაშვილის მონაწილეობით. განყოფილება 1-ლი: 1. ქ. ფოცხვერაშვილი—[illegible], შეასრულებს გუნდი. 2. ზ. ფალიაშვილი—ალი ფაშა, შეასრულებს გუნდი. 3. დ. არაყიშვილი—„ნეტავ ქალა", ოპ. „შოთა რუსთაველიდან", სოლოს შეასრულებს ბ. ინაშვილი. 4. მ. ბალანჩივაძე სამშობლო ხევსურისა, შეასრულებს სოლოს გუნდთან ინაშვილი. 5. ნ. სულხანიშვილი—მესტვირული, სოლოს გუნდთან შეასრულებს მთ. დიაკ. დ. სალარიძე. განყოფილება მეორე. 1. ე. ჯამბურია—ა) სული ობოლი, ბ) [illegible] რომანსი, შეასრულებს ქ-ნი კალანდაძე. 2. დ. არაყიშვილი—ნოქტიურნი, რომანსი, შეასრულებს ქ-ნი კალანდაძე. 3. ზ. ფალიაშვილი—ნანა, შეასრულებს გუნდი. 4. ა. ყარაშვილი—ა) მრავალჟამიერ ბ) ნდური—შესრ. გუნდი ნ. ნ. სულხანიშვილი—მაშ გამარჯვება, შესრ. გუნდი. განყოფილება მესამე. 1. ნ. სულხანიშვილი—გუთნური, სოლოს გუნდთან შესრ. ი. პ. სარაჯიშვილი. ა) ნანა. ბ) ოდესაც გიცქერ. 2. მ. ბალანჩივაძე—გ) შენ გიტრფი მარად... შესრ. ი. სარაჯიშვილი. დ) ტყეშ მოისმა ფოთოლი, დუეტი, შესრ. ქ-ნი კალანდაძე და ი. პ. სარაჯიშვილი. 3. სულხანიშვილი—სამშობლო ხევსურისა, სოლოს გუნდთან შესრ. ი. პ. სარაჯიშვილი.

გუნდი გაძლიერებულია ოპერის გუნდით. აკომპანიმენტს როიალზე შეასრულებს ქ-ნი მესხიშვილი. კონცერტზე მოწვეულნი არიან ყველა უცხო სახელმწ. წარმომადგენელნი.

გამგე ი. აბაშიძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე

გაზეთ „საქართველოს" კანტორა

მოაგონებს პატივცემულ ხელის მომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული (მეორე ნაწილი) არ შემოუტანიათ, 10 ივლისამდე წარმოადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპოგათ.

ფინანსთა სამინისტრო ამით აცხადებს

რომ მისგან დანიშნულია

კონკურსი ას-მანეთიანი ბილეთის

ნახატის შესამუშავებლად. უკანასკნელი ვადა ნახატის წარმოდგენისა 21 ივლისია, ნაშუადღევის 2 საათამდე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სამინისტროს კანცელარიაში 1—2 საათამდე ყოველ დღე.

საქართველოს კონტორა

აცხადებს, რომ 3 ივლისიდან გაზეთი „საქართველო" ღირება თბილისში და პროვინციაში—40 კაპ., ხოლო რკინის გზის სადგურებზე 50 კ.

სრულიად საქართველოს საკათალიკოსო საბჭო და სასამართლო გლოვით აუწყებს ქართველ ერს, რომ თიბათვის 26—27 მამა ანტონის მარტყოფელის მონასტერში ღვთის მიიცვალა უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი სრულიად საქართველოსი

კირიონ მეორე.

მისის უწმინდესობის ნეშთს გამოასვენებენ ანჩისხატის ტაძრიდან კვირას, მკათათვის 7-ს, სწორედ დილის 9 ნახევარ საათზე. წირვა ანდერძი და დაკრძალვა იმავე დღეს სიონის ტაძარში 2—978—2

გულ დამწუხრებილნი დედა პელაგია, მამა მიხეილი, მეუღლე სოფიო შვილებით: შოთა და კონსტანტინე, ძმები: პეტრე და ვასილი, დები: მარიამ ზაალიშვილისა ნადირაძისა და კონსტანტინე ბარათაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ

პავლე მიხეილის ძე ზაალიშვილის

სულის მოსახსენებლად 23 თიბათვეს (ძველის სტ. დილის 10 საათზე კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი.

(2—1685—2)

საქართველოს მოკავშირეები

საქართველოს ევროპასთან დაახლოვების შესახებ აქამომდე ზოგიერთი პატრიოტი თუ ჰბედავდა ოცნებობას იდუმალად.

დღეს უკვე სინამდვილეა, საქართველო დიპლომატიურ ურთიერთობაში ჩადგა და შუა ევროპის სახელმწიფოებთან მოლაპარაკებას აწარმოებს საბოლოო ზავის, დამოუკიდებლობის დაცვისა, ფინანსებისა თუ სამხედრო საქმის შესახებ.

ეს არის უდიდესი საჩუქარი, რომელიც არგუნა ბედმა ჩვენს თაობას მრავალი განსაცდელის, მარცხის და სირცხვილის შემდეგ. ეს უდიდესი „მონაპოვარია" რევოლუციის, ომის თუ რუსეთის ანარქიის.

და ჩვენც თვალის ჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ ამ ეროვნულს განძს. გერმანიასთან, ავსტრო-უნგრეთთან და ბულგარეთთან გარკვეულ პოლიტიკურ ურთიერთობაში ვართ. ეს სახელმწიფოები მფარველობენ ახლად აღდგენილ საქართველოს სახელმწიფოს. მათ უკვე ფრიად მნიშვნელოვანი დახმარება გაუწიეს სუსტ საქართველოს. შეიძლება ითქვას—დაიხსნეს ის საშინელი ეროვნული განსაცდელისაგან. ბორჩალო, აწყურ თუ ნატანები, სოხუმის დესანტი და ბოლოს სტამბოლის კონფერენცია—საუკეთესო საბუთებია გერმანიის ჩვენდამი განწყობილებისა.

საქართველოს მრავალ-ტანჯული მატიანე იქნებ სულ ვერ მოიგონებს უცხო ტომის, უცხო ქვეყნის მეორე ასეთს მოქცევას.

მაგრამ ეს დასაწყისია, პირველი ნაბიჯი საქართველოს ევროპასთან დაკავშირებისა. პირველი სიტყვა გერმანიამ სთქვა და ამის შემდეგ საქართველოსაც მოეკითხება. ბევრი შიშობს რომ საქართველო ვერ გაამართლებს ახალ მოკავშირეების იმედებს. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ გერმანელები სინამდვილის მოყვარული არიან და მათ არ უყვართ გადაჭარბებული წარმოდგენის შექმნა არამც თუ სხვებზე, არამედ თავის თავზედაც. ამიტომ არ არის მოსალოდნელი, რომ საქართველოდან ისინი ისეთს რამეს მოელოდნენ, რაც მას არ შეუძლია.

მაგრამ ამასთანავე ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ და არა ვეფხის ტყაოსანის ზღაპრულს ხანაში, როდესაც მეგობრული გრძნობები არაბისტანში ომებს იწვევდა. თანამედროვე ერების შინაურს, თუ საგარეო პოლიტიკას, ომსა თუ ზავს ანგარიში, ინტერესი ჰბადავს და ამოძრავებს. თუ ენდაც რომელიმე ერი ალფრთოვანდება რომანტიული ოცნებებით და უანგაროდ მსოფლიოს გარდაქმნას მოინდომებს,—ბოლშევიკური რუსეთი სარკეა მისთვის.

ჩვენი ახალი მოკავშირენი ვერ მოსთხოვენ საქართველოს იმის მეტს, რაც მას შეუძლიან. მაგრამ ჩვენც უნდა გვახსოვდეს მუდამ, რომ საქართველოში გერმანიასა და მის მოკავშირეებს დიდი ინტერესები აქვთ და ეს ჩვენ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს. შეგნებულად თუ შეუგნებლად, ნებსით თუ უნებლიეთ ჩვენ ხშირად გვავიწყდება საკუთარი ეროვნული ინტერესები და იქნებ არ მოგვეჩვენოს გასაოცრად, თუ სხვისი, თუნდაც ჩვენი მოკავშირეების ინტერესები დავივიწყოთ. მაგრამ ეს მხოლოდ ნაკლია ჩვენი პოლიტიკის და მის გამოსწორებას უნდა ვცდილობდეთ.

ვერავინ დაგვწამებს, რომ ღირსეულად არ ვაფასებთ ჩვენი ახალი მოკავშირეების დახმარებას. მაგრამ რომ ჩვენი განწყობილება მოკავშირეებთან არ დარჩეს მხოლოდ კეთილ გრძნობებზე და მან მიიღოს უფრო რეალური სახე, საჭიროა შევქმნათ ისეთი პირობები, როდესაც საქართველოს დამოკიდებულობა მის მოკავშირეებთან მტკიცე პოლიტიკურ-ეკონომიურ ურთიერთობაში გამოიხატება.

არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს, რომ გერმანიას აღმოსავლეთში ფართე მიზნები აქვს დასახული.

ჩვენს სამშობლოს, როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურ ბაზას, მცირე მნიშვნელობა არ ეძლევა ამ მიზნებისთვის. მაგრამ ამ შორეული განზრახვების განხორციელება დიდს მატერიალურსა და სულიერს ენერგიას შეიწირავს და ჩვენი მოკავშირეების მახლობელს მიზანს, როგორც თავის ქვეყნებში, ისევე ყველგან და ჩვენში ამ ენერგიის მოპოვება და შემოკრება შეადგენს.

ვინც საშინელი მსოფლიო ომის პირობებს გაითვალისწინებს, არ გაუკვირდება ჩვენი აზრი, რომ გერმანიას ამ ჟამად უფრო ესაჭიროება მატყლი და ბამბა, სპილენძი და შავი ქვა, ვინემ თანაგრძნობა და სიყვარული იმ ქვეყნებისა, სადაც ეს მასალა მოიპოვება. და ჩვენ ვხედავთ თუ როგორის დაუშრეტელ ენერგიას იჩენენ გერმანელები ამ ომის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ჩვენს ქვეყანაშიც მოგვეპოვება გერმანიისათვის უაღრესად საჭირო პროდუქტები და ჩვენც უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენმა მოკავშირეებმა ისარგებლონ ამ მასალით. ამას ჩვენი ეკონომიური ინტერესიც მოითხოვს. გერმანია სამაგიეროდ მოგვაწვდის ისეთს საქონელს, რომელიც ჩვენ არ გვეშოვება.

ჩვენ ასეთს გზას უნდა დავდგომოდით, კიდეც დავადექით, მაგრამ სამწუხაროდ ამას მრავალი სიძნელენი ეღობება წინ. შავი ქვის ამოღებას უნდა წესიერად მოწყობილი მუშაობა, სხვა ნედლი საქონლის მიწოდებას ასევე გადაზიდვის წესიერი პირობები და გაცვლა-გამოცვლის მოწყობას კი ენერგია, ეკონომიური საქმიანობა და გამოცდილება. და ყოველივე ამისთვის საჭიროა სახელმწიფოებრივი ცხოვრების განმტკიცება, წესრიგი, წესრიგი და კიდევ წესრიგი.

ა. ახათიანი.

კირიონ მეორე

საქართველოს განშორდა კიდევ ერთი დიდი ადამიანი.

მისი უწმინდესობის კათალიკოსის მიცვალებით ქართულმა ეკლესიამ დაჰკარგა უერთგულესი პატრიარქი, განათლებული მღვდელთ-მთავარი და უდრეკი დამცველი მისი სიწმინდისა.

საქართველოსთვის იგი არ იყო მარტო მღვდელ-მთავარი:

ცეცხლისა და წამების ალში გაწმინდა მან თავისი სული საქართველოსთვის ტანჯვით და თუ ვინმეს ჰქონდა უფლება, ყველაზე ადრე იგი უნდა ზეიმობდა საქართველოს ბედნიერებას.

გაყინულ ჩრდილოეთში, ბნელ მონასტრების ციხე-საკანებში ის ათბობდა თავის სულს მხოლოდ საქართველოზე ფიქრით და ეს იყო ერთად ერთი საშუალება მისთვის, რომ გაძლებოდა იმ ტანჯვას, რომელშიაც ღალავდა ქართველ პატრიოტის სხეულს რუსეთის მთავრობა. ვერავითარმა ცდუნებამ ვერ გასტეხა მისი იმედიანი გული და მაინც მიაღწია თავის საოცნებოს: მცხეთის ტაძრის მაღალმა სვეტებმა საუკუნოდ დაალოცეს მისიც და მისი ეკლესიის თავისუფლებაც.

მაგრამ რა მოკლე დროით!

მარტყოფის უდაბნომ საიდუმლოებაში მიიღო პატრიარქის და პატრიოტის სული და ეს საიდუმლოება იმდენად, მწუხარეა ქართველ მორწმუნეთათვის, როგორც მწუხარე იყო მისი უწმინდესობის ამ ქვეყნიური ცხოვრება...

ლ. ჯ.

† კათოლიკოზი კირიონ მეორე

რუსეთის იმპერიის მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ საქართველოში, როგორც სახელმწიფოს, აგრეთვე ეკლესიის საუკეთესო წარმომადგენელნი ცდილობდნენ ქართველ ხალხში განემტკიცებინათ ის ჭეშმარიტი შეხედულება, რომელიც რუსეთის „მფარველობის" შემოსვლას ჩვენს სამშობლოში უწოდებდა აშკარა უზურპაციას და საერთაშორისო უფლების ნორმების უდიერ დარღვევას.

სასტიკ დევნას განიცდიდა ყველა ცოტად თუ მეტად თვალსაჩინო ეროვნული მოღვაწე. დიმიტრი ყიფიანის პროტესტის შემდეგ ქართველი ინტელიგენციის იზოლაციამ პირდაპირ მასიური ხასიათი მიიღო.

განსვენებული პატრიარქი საქართველოს ეკლესიისა, ვითარცა თავდადებული მებრძოლი საქართველოს ეროვნულ და სარწმუნოებრივ განთავისუფლებისათვის, თავის თავად ცხადია, ვერ ასცდებოდა საერთო ბედს: ეპისკოპოზის ხარისხის მიღებისთანავე იგი განიცდის რუსის სასულიერო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერო მთავრობის არაჩვეულებრივ დღენას. მთელი ხუთმეტი წლის განმავლობაში სუსტი ჯანის ეპისკოპოზი ერთი მონასტრიდან მეორეში გადაჰყავდათ, მკაცრ სატუსაღო რეჟიმს დამორჩილებული და გაძლიერებულ ჟანდარმების ზედამხედველობის ქვეშ. დაავადებულ ეპისკოპოზის შევიწროვებამ ბოლოს ისეთი აღმაშფოთებელი მიმართულება მიიღო, რომ ბელგიიდან „ადამიანის უფლების დაცვის ლიგის" თავმჯდომარემ ჟორჟ ლორანმა 1909 წელს საპროტესტო ბარათი გამოგზავნა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე ხომიაკოვის სახელზე..

ტანჯვის დღენი სასიხარულოდ შეიცვალა წამებულ განდევნილს რუსეთის დესპოტიის დამხობის შემდგომ, სათაყვანებელ მშობელი ქვეყნის ხილვის შეძლება რომ მიეცა; მაგრამ, საუბედუროდ, მას ნათლად ემჩნეოდა სხეულის უდიდესი მისუსტება, ცხადი იყო გამოცდილი თვალისათვის, რომ ულმობელი სიკვდილის ლანდი უკვე დასტრიალებდა მრავალ-ტანჯულ ადამიანს. ცხრა თვის დაკვირვებამ ჩვენ უცილობლად ეჭვის დაუტოვებლად დაგვანახვა, რომ თვითმპყრობელ რუსეთის საპყრობილე-უდაბნოებში ყოფნას შესამჩნევი დაღი დაესვა საქართველოს ეკლესიის ახლად განწესებული საჭეთმპყრობელისათვის.

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ კათოლიკოზ პატრიარქ კირიონის შემოქმედებითი ნიჭი და ენერგია მრავალ წლობითი განცდა-წვალების გამო უკიდურესობამდე მიდუნებული იყო. ეს საშინელი გარემოება შეიცავდა, როგორც პირადად შეგვენიშნულ კათოლიკოზის, ისევე ახლად აღდგენილ ავტოკეფალურ ეკლესიის ტრაგედიას. იმის ნაცვლად, რომ ავადმყოფ კათოლიკოზს ამოსდგომოდნენ მხარში და შეთანხმებულად და წესიერად აეშენებინათ ეკლესიის აპარატი, გაჩნდნენ მის გარშემო მრავლად მოხეტიალე სუბიექტები, რომელთაც, ყოველს შემთხვევაში, არა ეკლესიის კეთილდღეობა ამოქმედებდათ!

ამის გამო უმაღლეს საეკლესიო დაწესებულებაში შეიქმნა არა სასურველი განწყობილება, რომლის შედეგი გამოიხატა საკათოლიკოზო საბჭოს წევრთა უმრავლესობის ამა წლის მაისის ცნობილ განცხადებაში...

საქართველოს ეკლესია დღეს ეთხოვება უპირატეს მღვდელ-მთავარს, ხოლო ქართველი საზოგადოება ჰკარგავს ერისათვის განწირულს მამულიშვილს, ქველმოქმედსა და პატრიოტს. განსვენებული არ იყო მოკლებული სამწერლო ნიჭს: მას გამოქვეყნებული აქვს საკმაო საისტორიო-საარქეოლოგიო და საეკლესიო ნაშრომები, რომელთა ღირსება ჩვენს მწერლობაში დაფასებულია, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი ნაწარმოებთა დასკვნას ქართველობა ვერ იზიარებდა, მაგალითად, მის თხზულებას: „საქართველოს ეკლესიის მოკლე ისტორია—მე XIX საუკუნეში" ამის, ვითომც რუსეთთან შეერთებამ ხელი შეუწყო საქართველოს დავრდომილ ეკლესიის აღორძინებას... საქართველოს ეკლესიის მტრებმა განსვენებულ კათალიკოზის ეს შეხედულება ბევრჯელ მოიყვანეს ჩვენში ავტოკეფალურ მოძრაობის გასაბათილებლად. ამავე წიგნს იმოწმებს მოსკოვის პატრიარქი ტიხონი სულ უკანასკნელ დღეებში კათალიკოზის სახელზე გამოგზავნილ შეგონებაში.

მარტყოფის საიდუმლოება გამოუცნობელია! რა მოხდა წმ. ანტონის მონასტერში დანამდვილებით არავინ იცის, ლაპარაკი და განგაში-კი ზედმეტია! ეს ჰბადებს არა სასურველ ნერვიულ მდგომარეობას საზოგადოებაში. ჩვენ გვინდა ვურჩიოთ ზოგიერთებს შეიკავონ გულის შფოთვა და განცოფებულნი ლობე-ყორეს ნუ ედებიან დამნაშავის საძებნელად.. დიდი სპინოზა ამბობდა: nec ridere, nec lacrimari, sed intelligere ..

საუკუნოებში წარსულმა უნეტარესმა კათოლიკოზმა საფლავში ჩაიტანა მარტყოფის ტრაგედიის ახსნა, მისი სასიკვდილო იარაზე მიკრული ხელი-კი ჰფარავს ღრმას მწუხარებას თან ერთად მივარდნილ მონასტრის საიდუმლოებასაც.

რ. ინგილო,

ანარქიის მიზეზები

მთავრობის მეთაურმა—ნოე ჟორდანიამ—რესპუბლიკაში შექმნილ ანარქიის მიზეზებად სამი სოციალური ფაქტორი დაასახელა: ბოლშევიკებისა და მემარჯვენე ელემენტების აგიტაცია, და მასსის შეუგნებლობა.

მაგრამ, უეჭველია, მემარჯვენე ელემენტების მნიშვნელობა მეტად გააზვიადა. შეიძლება, ერთს—ორს შეუგნებელს ყოფილ აზნაურს კიდევაცა სწადდეს რესპუბლიკის სუვერენობის მოსპობა, მაგრამ, როგორც ვიცით, მათი დიდი უმეტესობა დღეს მომქმედ პარტიებშია განაწილებული და მაშასადამე მათი პოლიტიკური სულისკვეთება იგივეა, რაც თვითეული ამა თუ იმ პარტიის წევრისა.

ამას სხვათა შორის ისიც მოწმობს, რომ ვერ იპოვით ვერც ერთს ყოფილ აზნაურს—გარდა გაბოლშევიკებული ინტელიგენტებისა,—რომ ხალხს მთავრობის წინააღმდეგ ამხედრებდეს.

მეორე კიდევ: ანარქია ხომ ყველაზე უფრო ადრე სწორედ ყოფილ აზნაურებს ევლინებათ ღვთის-რისხვად და ისინი მაშასადამე გიჟები უნდა ყოფილიყვნენ, თავის გამაუბედურებელი პოლიტიკა რომ ეწარმოებინათ!

ალექსანდრე შერვაშიძემ ოსმალები მოიყვანაო, გვეუბნებიან. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ ერთი, აფხაზეთი სხვა ერია და, მეორე აფხაზეთის აზნაურთა ერთს ნაწილს სწორედ ჯუღელის უტაქტიკობამ მიაღებინა ოსმალეთის ორიენტაცია: როდესაც მათ რესპუბლიკას შეიარაღებული დახმარება აღუთქვეს, ჯუღელმა უპასუხა: მე, პირიქით, თქვენ წინააღმდეგ მოვდივარო.

შემდეგ იმავე ჯუღელმა სოხუმში კომენდანტად და შტაბის უფროსად რუსები დანიშნა, რომელთაც გერმანიის პატარა რაზმის უფროსს კლუბში რამდენჯერმე მიაყენეს შეურაცხყოფა და მიატოვებინეს სოხუმი.

სწორედ ამის შემდეგ გადმოსხა ალექსანდრე შერვაშიძემ ოსმალთა დესანტი სოხუმის ახლოს.

ამისდა მიუხედავად აფხაზეთის აზნაურთა დიდი უმეტესობა მაინც კიდევ რესპუბლიკის ერთგულია და მათი რამდენიმე ასეული მაზნიაშვილის რაზმში იბრძვის რესპუბლიკის მტრების წინააღმდეგ.

ამგვარად თავადაზნაურული საფრთხე—ფუჭი ოცნებაა და ამ საფრთხესთან (?) ბრძოლა—ქარის წისქვილებთან ბრძოლაა.

მეორე ფაქტორი—მასსის შეუგნებლობაო, განაცხადა ნოე ჟორდანიამ: ანარქია მხოლოდ ჩამორჩენილ კუთხეებს მოედოო.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ანარქია მძვინვარებდა ჯერ გორის მაზრაში, წინახარში, ხონში, შემდეგ ხომ თითქმის ყველგან.

მაგრამ, გორის მაზრასა და ხონის რაიონში მიტომ ჩაჰქრა მალე ცეცხლი, რომ მთავრობის ხელი აქ უფრო ადრე მისწვდა. მთებში ფესვებ გადგმული აჯანყების ჩაქრობა კი, რასაკვირველია, უფრო ძნელია.

მხოლოდ ეს არის მიზეზი, ანარქია რომ მთაში უფრო გაძლიერდა, ვიდრე ბარში.

რაც შეეხება ბოლშევიზმს, ამ მოძღვრების გავრცელებაში ხომ თანასწორად უდევსთ წილი ეგრეთ წოდებულ ბოლშევიკებსა და მენშევიკებს, სოციალისტ-ფედერალისტებსა და სოციალისტ-რევოლიუციონერებს, ალიოლებსა და რადიკალ-დემოკრატებს.

განა „ერთობაში" თითქმის ყოველ დღე არ იბეჭდება წერილები „თავადაზნაურობის" წინააღმდეგ და განა ყველა სოციალდემოკრატი თუ სხვა სოციალისტი, მაშინაც კი, როდესაც ის პასუხისმგებელი ადმინისტრატორის როლს ასრულებს, ხსენებულის გამქრალი წოდების შესახებ „ჰკა მაგას" პოლიტიკას არ აწარმოებს?!

დიახ! უდანაშაულო ყოფილ აზნაურთა სისხლი, რომელნიც ანარქიის მსხვერპლნი შეიქმნენ, ყველა იმის სინდისს უნდა ამძიმებდეს, ვინც ამგვარს ბარბაროსულ პოლიტიკას აწარმოებდა!

რასაკვირველია, სწორეთ: თავადაზნაურობა, როგორც წოდება, აღარ არის, მაგრამ მენშევიკებმაცა და ბოლშევიკებმაც ყოვლადგვარ პოლიტიკურ ცოდვას—მაინც მათ აბრალებენ და მათ გაბოროტებულ ხალხის გულში ჩამარხულსა და მთვლემარე ველურ გულისთქმით აღვიძებენ! აი სად არის ანარქიის წყარო!

დიახ! ბატონო სოციალისტებო, ანარქიის შემქნელი მიზეზი უპირველესად—თქვენ მიერ წარმოებული პოლიტიკაა!

მაგრამ არის ერთი სხვა მიზეზიც, საქართველოში ჩათესლებულ უცხოელების ერთი ნაწილი. რასაკვირველია, ყველას ვერ დავსდებთ ბრალს, მაგრამ, ბევრს მათგანს რომ საქართველოს სუვერენობა ყელზე ადგია,—უეჭველია. რისთვის სწადიათ მათ საქართველოს სუვერენობის მოსპობა? მისთვის, რომ რომელიმე უცხო სახელმწიფოს მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ საქართველო ეკონომიურად ხელში ჩაიგდონ!

ამიტომ ისინი რესპუბლიკაში ანარქიის შესაქმნელად დიდ ფულსა და ენერგიას ხარჯავენ!

მაშ რაა საჭირო?! რასაკვირველია, უპირველესად, ძლიერი რეგულიარული ჯარი და კარგად მოწესრიგებული ფინანსები. შექმნის კი ჩვენი მთავრობა ამ ორ ძალას?

თუ ვერა, საქართველოს სუვერენობა განსაცდელში ჩავარდება!

ვასილ წერეთელი.

ომი

დასავლეთის ფრონტზე.

გერმანიის ცნობა

ბერლინი, 5 ივლისის სამხედრო ცნობა. კრონ-პრინცის რუპრეხტის არმია. ძლიერი შემოტევა მოწინააღმდეგისა იპრის სამხრეთით მოვიგერიეთ. გუშინ დილით ადრე მდ. სომის ორთავ ნაპირზე გაძლიერებული საარტილერიო სროლის შემდეგ ინგლისელების ქვეითი ჯარი იერიში მოიტანა. ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე მოწინააღმდეგე დიდად დაზარალდა. სომის მარცხენა ნაპირით მოწინააღმდეგე შემოიჭრა სოფ. გამელში და ტყეში. მოწინააღმდეგის იერიშები გამელიდან აღმოსავლეთით სიმაღლეებზე მოვიგერიეთ ჩვენი კონტრიერიშებით. ვილერ-ბრეტონის აღმოსავლეთით მტერი თავის პოზიციებზე გავრეკეთ. არმიის მთელი ფრონტის ნაწილებში საღამოთი სამხედრო მოქმედება უფრო გაძლიერდა.

გერმანიის კრონპრინცის არმია. მდ. ავრის დასავლეთით და მდ. ენის ორთავე ნაპირებზე გაძლიერებული სამხედრო მოქმედებაა.

სტამბოლი. 5 ივლისის ცნობა. ყველა ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ბერლინი. 5 ივლისი. გერმანიის ოფიციალური ცნობა. ამერიკაში ისეთსავე ხრიკებს ხმარობენ, როგორსაც მიმართავდნენ ბოლოს წინად შეთანხმების სახელმწიფონი. ისინი ვითომ იბრძვიან დაჩაგრული პატარა ერებისათვის. პოლონელ ემიგრანტებს მიუხედავად მათი ნებისა, ძალით აგროვებენ ჯარში და აგზავნიან ფრანგეთში. როდესაც მათ წაიყვანენ, უცხადებენ, რომ ისინი იბრძვიან პოლონეთის დამოუკიდებლობის აღსადგენად და საქმის სინამდვილეს კი არ ეტყობინებენ. არ აძლევენ აგრეთვე არც ერთ გაზეთს პოლონურ ენაზე.

ბერნი. 5 ივლისი. გავასის საგენტო იტყობინება, რომ სოციალდემოკრატიული პარტიის რამდენიმე განყოფილება მოითხოვს, პასუხისგებაში იქნეს მიცემული ყოფილი სოციალდემოკრატი მინისტრი ტომა, რომელმაც ყოფილ მინისტრ-პრეზიდენტ რიბოსთან ერთად უარჰყო ავსტრიის სამშვიდობო წინადადება. სოც. დემოკ. პარტია 23 ივლისს პარიზში იწვევს კონგრესს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სხვა სახელმწიფოების სოციალისტები. ამ კონგრესზე განიხილავენ საერთაშორისო პოლიტიკურ საკითხებს.

მთავრობის წრეებში

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ მთავრობაში შეიტანა საქართველოს რესპუბლიკის სატამოჟნო დაწესებულებათა დებულების და შტატების პროექტი. მთავრობას განზრახვა აქვს ეს პროექტი ცხოვრებაში გაატაროს ვიდრე მას ეროვნული საბჭო დაამტკიცებდეს.

—

შეიქმნა სავანგებო კომისია გზათა მიმოსვლის სამინისტროს, საქონლის მიმწოდებელ კომიტეტის, რკინის გზის სამმართველოს და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლებისაგან. კომისიას დაევალა ტყვიბულში გაემგზავროს მაღაროების ყოველმხრივ დასათვალიერებლად, ქვანახშირის დამუშავებისა და გადაზიდვის გასაუმჯობესებლად და გამოზიდვის საქმის მოსაწყობად. კომისიამ უნდა დაათვალიეროს აგრეთვე ის ორთქლმავლები, რომლებიც ქვანახშირით ხურდებოდა. გამოარკვიოს, რამდენად შესუსტდა მოძრაობა ორთქლმავლებისა ქვანახშირით გახურების გამო. კომისია გუშინ უკვე გაემგზავრა ტყვიბულში.

—

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსდება სავანგებო განყოფილება სახაზინო ქონების დატაცებისა, სპეკულიაციასთან საბრძოლველად და საქართველოში ვაჭრობის კონტროლისათვის.

—

ფინანსთა, შინაგან საქმეთა და შრომის მინისტრებმა დაამტკიცეს სადაზღვეო დაწესებულებათა შტატები.

—

საქართველოს მთავრობამ სომხეთის ეროვნულ საბჭოს წინადადება მისცა 3 დღის განმავლობაში საქართველოდან გაიყვანოს ყველა სომხური სამხედრო ნაწილები. სურსათის მიმწოდებელ კომიტეტს მთავრობამ განკარგულება მისცა, ხსენებულ სამხედრო ნაწილებს სურსათი აღარ მისცეს. სომხეთის ეროვნულმა საბჭომ ამის შესახებ პროტესტი განაცხადა, ვინაიდან საინტენდანტოს თავმოყრილი სამხედრო ქონება ყველა ადგილობრივ ეროვნებათა კუთვნილებას შეადგენსო.

—

მთავრობის თავმჯდომარეს გაგრიდან შემდეგი დეპეშები მოუვიდა:

1) გაგრის ქალაქის საბჭომ 28 ივნისის სხდომაზე სრულის კმაყოფილებით დაადგინა მხურვალე სალამი გაუგზავნოს საქართველოს ნორჩ რესპუბლიკას და თქვენ, როგორც მთავრობის თავმჯდომარეს.

ქალაქის თავი ბეზხონოვი.

—

2) დიდად პატივცემულო ნოე ნიკოლოზის ძევ! ს.-დ. მუშათა პარტიის გაგრის ორგანიზაცია სალამს უძღვნის და მხნე დახმარებას აღმოუჩენს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საბჭოს თავმჯდომარე ნადია.

სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქ კირიონ მეორის დაკრძალვის ცერემონიალი

მისი უწმიდესობის ნეშტის დაკრძალვა მოხდება დღეს, 7 ივლისს. ცხედარს გამოასვენებენ ანჩისხატის ტაძრიდან დილის სწორედ 9 საათზე. სამგლოვიარო პროცესია გაემართება სიონისკენ ანჩისხატის, მუზეუმის, პუშკინის და შოთაბაზრის ქუჩებით. წირვა, ანდერძი და დაკრძალვა მოხდება თვით წმ. სიონის ტაძარში.

პროცესიის რიგი ასეა შემუშავებული: 1. ფარანი, 2. მთავრები საცეცხლურებით, 3. ჯვარი, 4. ორი ხატი, 5. დროშები, 6. კუბოს თავი, 7. მგალობელი გუნდები, 8. სამღვდელოება, 9. ეპისკოპოსნი, 10. მიტროპოლიტნი; 11. განსვენებულის რეგალიები: ბარტყული, პანაგია კვერთხი, ლამპარი, მანტია, დიკირ - ტრიკირი, პროტოდიაკონები საცეცხლურებით, 12. კუბო რიპიდებით, 13. საკათოლიკოზო საბჭოს და სასამართლოს წევრები, 14. ნათესავები, დელეგატები და სხვა... პროცესიაში მონაწილეობას იღებს ამქარი და ჯარი.

დაკრძალვის ცერემონიალში და ანდერძის აგებაში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს ჯერ-ჯერობით შემდეგ მგალობელთა გუნდებმა: 1. სამხედრო კავშირისა, 2. ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიის, 3. საკათოლიკოზო გუნდი; 4. უკრაინელთა გუნდი. სხვათა შორის სამხედრო გუნდი კომპოზიტ. სულხანიშვილის ლოტბარობით შეასრულებს მის მიერ საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის დაწერილ „სულთათანას".

დამკრძალავი კომიტეტი აცხადებს, რომ საათები ნაჩვენებია ძველის დროით (ერთის საათით ადრე ახალი დროისა).

ქრონიკა

თბილისი.

◆ **გერმანიის სამხედრო ხელისუფლებამ** შუამდგომლობით მიმართა მთავრობას, რომ მას უფლება მიეცეს ყოფილ „წითელ ჯვრის" საზოგადოების კავკასიის განყოფილების საწყობები დაათვალიეროს, რათა ქონება ამ საწყობებიდან თბილისში იქნეს გადმოზიდული.

◆ **დამცველმა შტაბმა დააპატიმრა:** ილარიონ ახვლედიანი—მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდისათვის; პოლიკარპე შავგულიძე—მთავრობის შეურაცხყოფისათვის; რკინის გზის აგენტი პეტრე კურიანი—პროვოკაციისათვის; ჯარისკაცი ოზიანი, ბულიჩოვი, კომილოვი და კლიმენკო—საინტენდანტოდან ყალბი დოკუმენტებით მასალის მიღებისათვის.

◆ გაზეთ „ბორბა"-ს № 110 მოთავსებულია შემდეგი ცნობა: თბილისის სასურსათო განყოფილებაში მსახურობდა ვინმე დ. ჯაში, რომელსაც ბრალს სდებდნენ ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში და პროვოკაციაში. ქალაქის კონტროლმა აცნობა ქალაქის თავს, რომ ჯაშს ბრალი ედება სისხლის სამართლის 169 მუხ. და შეუფერებელია მისი სასურსათო განყოფილებაში მსახურობა. ქალაქის თავის განკარგულებით დ. ჯაში სამსახურიდან დაითხოვეს.

◆ **სპეკულიანტი გენერალი.** გენ. რუბენიძე და სხვ. საქმის შესახებ წინასწარი გამოძიება სწარმოებს. დასრულებისას გამოძიება გადაეცემა გარნიზონის შტაბის უფროსს. როგორც ირკვევა დაპატიმრებულნი სპეკულიაციას აწარმოებდნენ ასაფეთქებელი მასალებით და იარაღით.

◆ კახეთიდან და გურიიდან ჩამოსული სამი რაზმი დუშეთის ფრონტზე გაიგზავნა.

◆ ქ. გორში ხდება წითელ გვარდიელთა სამაზრო ყრილობა. ყრილობაზე აირჩიეს სამაზრო შტაბი, რომელიც უკვე დაამტკიცა მთავარმა შტაბმა.

◆ მთავარმა შტაბმა ქალაქში დააპატიმრა რამდენიმე პირი, რომელთაც კავშირი ჰქონდათ შეპყრობილ პორფ. ხაჩიტურიანთან. იპოვეს ტყვიისმფრქვეველი და რამდენიმე ათასი პატრონი.

◆ **სიღნაღის მაზრის ყოდალოს** რაიონის მამულების მიმღები კომისია სთხოვს ამ რაიონის მემამულეებს (ზიარის, ფსოველის, მელაანის და ქალაუბნის სოფლები) შეატყობინონ მას თავის მისამართი. იმ მემამულეებს, რომელნიც ვერც თვითონ დაესწრებიან მამულის მიღებას და არც რწმუნებულებს გამოგზავნიან, ესთხოვთ შეატყობინონ წერილობით სურთ თუ არა მიიღონ ხსენებულ რაიონში სავარგული ნორმა, და თუ სურთ მამულის რომელ ნაწილში. მისამართი კომისიისა: პლატფორმა კაჭრეთი კახეთის რკ. გზისა. ყოდალოს რაიონის მიმღებ კომისიის თავმჯდომარეს ა. ო. წულაძეს.

◆ **ქალაქის თვითმართველობამ** მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა 5,000,000 მანეთის სესხის მიცემის შესახებ.

◆ **კვირას, 7 ივლისს,** საღამოს 7 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია „განათლების" საზოგადოების წევრთა კრება. კრების საგანი: ხსენებულ საზოგადოების სემინარიის მთავრობაზე გადაცემა.

◆ **საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის კირიონ მეორის** დაკრძალვაზე დასასწრებლად თბილისში ჩამოვიდა ქუთათური მიტროპოლიტი ანტონი.

დამკრძალავმა კომიტეტმა თითქმის ყველა სარწმუნოების სამღვდელოებათაგან მიიღო წინადადება დაკრძალვაზე მონაწილეობის მიღების შესახებ.

◆ **კოოპერატივთა საყურადღებოდ:** მიუხედავად იმისა, რომ ამიერკავკასიის კოოპერატივთა კავშირის წესდების მე 32 მუხლის ძალით წლიური კრება რწმუნებულებისა უნდა მოწვეულ იქმნას არა უგვიანეს ივლისის თვისა, მაგრამ მიმდინარე საანგარიშო წელს კავშირის გამგეობა მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო, ზედამხედველ საბჭოს, სარევიზიო კომისიის, კავშირთა გამგეობის და კავშირის გამგეობის და კავშირის რაიონულ წარმომადგენელთა დადგე-

ნილების თანახმად საერთო კრება რწმუნებულთა გადატანილ იქმნა სექტემბრისათვის. კრების დღე კოოპერატივებს ეცნობებათ ბარათებით.

◆ დ. გ. აფხაზი მთავარი გამგე საგანგებო სალიკვიდაციო კომისიისა ფინანსთა სამინისტროსთან იღებს მთხოვნელთა: 1) ლიკვიდაციის საქმეების შესახებ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით დილის 11 საათიდან 1 საათამდე. 2) სამრეწველო საქმეების შესახებ სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 1 საათიდან 2 საათამდე. 3) ყოფილ კავკასიის რაიონის სახაზინო საბჭოს ლიკვიდაციის საქმეების შესახებ ხუთშაბათობით 11-ნახევრიდან 12 საათამდე. რიგში ჩაწერა შეიძლება მთავარ გამგის პირად მდივანთან.

◆ ეროვნული საბჭოს სარწმუნოების კომისიის პრეზიდიუმში არჩეული არიან: თავმჯდომარეთ მიხეილ მაჩაბელი (ე.-დ.), მდივნათ იოსებ მარუაშვილი (ს.-ფ.).

◆ საჭიროა სოფელ რეხის ლტოლვილთა კომიტეტისთვის (ბორჩალოს მაზრაში) გამოცდილი ექიმი. მსურველებს ვთხოვ მიმართონ შინაგან სამინისტროს რწმუნებულთან ალ. ლორთქიფანიძესთან. მისამართი: კირჩხების ქუჩა № 13, საღამოს 5—7 ს.

◆ თბილისის ქალთა ინსტიტუტში სწავლა დაამთავრეს ხუთმა ქართველმა: ა. ახვლედიანმა, მ. ბერეზაშვილმა, ბ. დარახველიძემ, ნ. ხომასურიძემ და მ. ჯაფარიძემ.

◆ რედაქციამ მიიღო ბ-ნ პეტრე სურგულაძის სამი ბროშურა, გამოცემული ქ. სტამბოლში ქართულ ენაზე 1918 წ. 1) „საქართველო როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო". 2) „დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო მნიშვნელობა". 3) „საქართველო თავისუფლებისაკენ". თითო წიგნის ფასი—5 მანეთი.

◆ ეროვნულ საბჭოს ფინანსიურ კომისიის შტატის შემცირების გამო ითხოვენ: 1) პირველ მინისტრის მდივანს ნ. გ. მაჭავარიანს, 2) მთავრობის საქმეთა მმართველის მდივანს გ. ნ. ჩერქეზიშვილს და 3) ხაზინადარს ვ. ა. ულიანოვს.

◆ მთავრობის სამმართველოს საქმის მწარმოებელი გ. ნ. კანდელაკი მთავრობის საქმეთა სამმართველოს მდივნად ინიშნება.

პარტიული ცხოვრება

მთავარ კომიტეტის კრება პროვინციის წარმომადგენელთა მონაწილეობით. დღეს, 7 ივლისს, 11 საათზედ მთავარი კომიტეტის ბინაზე შესდგება მთავარი კომიტეტის კრება პარტიული კომიტეტების წარმომადგენლების მონაწილეობით. ამ კრებისათვის უეჭველად ქალაქებისა და სამაზრო კომიტეტები გზავნიან თითო წარმომადგენელს. კრების საგანს შეადგენს საორგანიზაციო და სატაქტიკო საკითხები.

◆ სამშაბათს, 9 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქ. თბილისის 2-ე რაიონის მც. წევრთა საზოგადო კრება. გ. შალიბაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ქართველი ერის სულიერი მდგომარეობა და მისი მახინჯება საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან დღევანდლამდის".

◆ ეროვნულ საბჭოს ეროვ.-დემ. ფრაქციის კრებები დანიშნულია მუდმივათ ეროვნულ საბჭოს კრების წინა დღეს, ორჯერ კვირაში, ორშაბათობით და ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზე. ამ მუდმივ კრებებზე უწყებები არავის ეგზავნება.

დუშეთის ამბები

დუშეთის უკანასკნელი ცნობებით კონიევის რაზმმა, რომელიც აჯანყებულებისაგან [illegible] იყო დუშეთისა და წილკანს შუა, გზა გაიკაფა და შევიდა ქ. დუშეთში, სადაც იგი შეუერთდა ჯუღელის რაზმს. მეამბოხეთ დაჭერილი ჰქონდათ პოზიციები დუშეთის მაღლობებზე, მაგრამ ამით იქიდანაც გაიხვეს ჩრდილოეთით და ფასანაურისაკენ სახალხო გვარდიის ნაწილები ბრბოს უკან მისდევენ და დახლოებით დუშეთიდან 20 ვერსის იქით გასდევნეს. ჩია.

შემოსვლა დუშეთში აღდგენილია. მიდამო რკინის გზასა და დუშეთის შორის საბოლოოდ გაწმენდილია ბოლშევიკებისაგან. დუშეთში მიდის მთავრობის საგამომძიებლო კომისია.

საზღვრის ამბები

სამხედრო მინისტრს შემდეგი დეპეშა მოუვიდა:

29 ივნისს, ღამის 12 საათზე დაბა საჩხერე ხორუნჟი ფხაკაძის ცხენოსანმა ჯარმა ბრძოლით აიღო. საარტილერიო მომზადების შემდეგ შეიარაღებულმა ბრბომ ბრძოლით უკან დაიხია, ნაწილი უწესრიგოდ მთებში გაიხიზნა. ქალაქის აღებისთანავე ზომები იქმნა მიღებული ქალაქის გასამაგრებლად და საჩხერე-ჭიათურის რაიონის მცხოვრებთათვის იარაღის ასაყრელად. მცხოვრებთა ერთმა ნაწილმა არ მიანდომა და მთებში გაიხიზნა ოსებთან შესაერთებლად, რათა ჩვენთვის გზა მოეჭრათ, რკინის გზის ლიანდაგი აეყარათ და ჩვენთვის იარაღი წაერთმიათ, მაგრამ ზარბაზნების სროლით და ქვეითა და ცხენოსან ჯარის იერიშით ხელი შეუშალეთ მათ. ყველა ახლომახლო სოფლებიდან დღეს დილიდან მცხოვრებლებს თეთრი ბაირაღებით იარაღი მოაქვთ. დღემდე მოიტანეს 400 ვინტოვკა. ჩვენ დავატყვევეთ სულ 100 კაცი. დავაპატიმრეთ ჯაშუშები და პროვოკატორები. მცხოვრებლებმა აჯანყების მეთაურნი გასცეს. მგონია, რომ საქმე გათავებულია.

საქართველოს ეროვნული საბჭო

5 ივლისის სხდომა.

თავმჯდომარეობს კ. ჩხეიძე.

წაკითხვის შემდეგ წვრილი კანონპროექტები გადაეცა სათანადო კომისიებს.

საფინანსო კომისიის წარმომადგენელმა ი. ლორთქიფანიძემ მოახსენა კანონ-პროექტი, რომელიც ცნობა ჯამაგირებს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარისა, 1,500 მ., მინისტრებს 1.500 და მათ ამხანაგებს 1,350 მ. თვიურად. გარდა ამისა სწარმომადგენლობითი ხარჯებისათვის საბჭოს თავმჯდომარეს 15.000 მ., მთავრობის თავმჯდომარეს 15.000 მ., საგარეო საქმეთა და სამხედრო მინისტრებს 10.000 მ., წლიურად. მთავრობის თავმჯდომარის მდივანს 1.000 მ., საქმეების უფროს გამგეს 1.200 მ. თვეში.

ამ ხარჯების გაღების უფლება ეძლევა 1918 წ. 1 ივნისიდან.

ეროვნული საბჭოს კანცელარიისათვის ეძლევა გადაიდოს მიმდინარე წლის 1 ივნისიდან 104,700 მ. შემდეგი განაწილებით: მოსამსახურეთა ჯამაგირებისათვის 82,700 მ. საქმეთა მმართველის მეორე თანაშემწისათვის დროებით 1 ივნისიდან წლის ბოლომდის 7000 მ., საკანცელარიო, ფოსტა, ტელეგრაფი, ტელეფონი და სხვა ხარჯებისათვის 10.000 მ., წიგნთსაცავისათვის 2.000 მ. და საღამოობით რემინგტონზე მომუშავეთათვის 4,000 მ.

ეს კანონ-პროექტი საბჭომ მიიღო. საბჭომ დაამტკიცა აგრეთვე კანონპროექტი 1 ივნისიდან საბჭოს წევრებისათვის ჯამაგირების კრედიტის გახსნისა.

შემდეგი საკითხია ს. დ. ფრაქციის განცხადება გარეშე საქმეთა კომისიის დანიშვნა.

მომხსენებელი ა. ლომთათიძე ამ კომისიის დაარსების გამომწვევ მიზეზად ასახელებს საქართველოს რესპუბლიკის გარეშე მცხოვრებ ქართველების მიერ შემოსულ განცხადებებს, რომლებიც აცხადებენ, რომ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ მათ სურთ სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ამისათვის საშუალება არა აქვთ და მთავრობას სთხოვენ მათი უფლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფას და საქართველოში დასაბრუნებლად ნივთიერ დახმარებას. მომხსენებლის აზრით თუმც ეს პარლამენტის და მთავრობის საქმეა, მაგრამ საჭიროდ სთვლის ცალკე საგარეო კომისიის დაარსებას და ასეთი საქმეების მის გადაცემას.

მცირე კამათის შემდეგ საბჭომ ეს წინადადება მიიღო და აირჩია კომისია შვიდი წევრისაგან.

კომისიაში არჩეულ იქმნენ: მ. საბახტარაშვილი, არ. ჯაჯანაშვილი, არ. მაჩულაშვილი, დ. ონიაშვილი, გ. [illegible], შ. ამირეჯიბი და ი. გობეჩ-

რუსეთი

„ბუმბერაზი თიხის ფეხებზე"—ასე უწოდებდნენ რუსეთს იაპონიის ომის შემდგომ.

მაშინ საფრანგეთში ძლიერ გაუცრუვდათ იმედები და დიდი ეჭვი დაებადათ რუსეთის მეგობრობის პრაქტიკულ ღირებულებაში.

მაგრამ ჩვენმა ყოფილმა მეგობრებმა მხოლოდ ეხლა, მგონია, პირველად საცნებით შეიგნეს და დარწმუნდნენ, რომ საქმე რუსის ბუმბერაზის თიხის ფეხებში—კი არ არის მხოლოდ,—მისი თავიც არც თუ ისე რიგიანად მოქმედებს და თვით ტანიც, როგორც ბევრი ბუმბერაზებისა, წარმოადგენს რაღაც მახინჯ დეგენერაციის ნაყოფს.

„რა არის თქვენი რუსეთი?"—არა ერთხელ უკითხავთ ჩემთვის პეტერბურგში საქმეების გამო მოსულ უცხოელებს, რომელსაც ცოტა თუ ბევრი ხანი უცხოვრიათ იქ და გაუცნობიათ რუსულ წესიერებას. ისინი განცვიფრებაში მოდიოდნენ ყველაფრით: უზარმაზარი ბინებით და იმ უსუფთაობით, რომელსაც ასე შეჩვეულია რუსის საზოგადოება; ათასფერ-ფათარიკიდი ქაღალდის ფულით და თავით-ფეხამდე გაჭედილი ტრამვაით; განუწყვეტელი ლანძღვა-გინებით ქუჩებში და მოედნებზე; ყველას—დიდი და პატარის ეგოიზმით და უსინდისობით, ისე, რომ უბრალო კანონიერი საქმის მოგვარება და გასწორება შეიძლება მხოლოდ მოქრთამების ფულის დახარჯვით, დაწყებული ხუთმანეთიანით შვეიცრებისთვის და დამთავრებული ასი ათასობით „სანოვნიკებს". „ეს მექრთამეობა კი არა, პირდაპირ ყაჩაღობაა" მითხრა მეტად შეწუხებულმა ქრთამების დარიგებით ფრანგმა ინჟინერმა—ერთი კონცესიის მონაწილემ. ეს არც ძველი მთავრობის ფატალურობით, არც „ბიუროკრატიული წყობილების წყლულებით" აიხსნება—მსგავსად იღებდნენ ერთნაირად ყველანი: პოპულიარი საზოგადო მოღვაწენი და ქალაქისა და ერობის წარმომადგენელნი და, როდესაც რიგი მიდგა ყველა ჯურის რევოლუციონერებზე, არც ისინი ჩამორჩნენ. ნაცვლად უანგარო იდეალებისა, მთელი რუსეთის რევოლუციამ მოგვცა საშინელი პირადი ძალადობა და მტაცებლობა.

ერთად-ერთი პასუხი იმ კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს რუსეთი, ძლივს რომ არ შევადაროთ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა, შეიძლება ასე მივცეთ არა პირდაპირ: „რუსეთი—მომავლის ქვეყანაა! რუს ხალხზე და რუსულ შესაძლებლობაზე ნუ სჯით ამ ჟამად, ჩვენ ახალგაზდანი ვართ ჯერ, არ შეგვიხავს ფერმა". მაგრამ დღევანდელი სახით რუსეთი უცხოელებისათვის დიდს ამოცანას წარმოადგენს.

მოაგონეთ, მაგალითად, შემდეგი: ომის დროს გერმანელთა რამდენჯერმე შეეცადა გაემართა საზავო მოლაპარაკება. ვინ იყო, რომ კატეგორიულად და ყველაზე უწინ წინააღუდგა ამ წინადადებებს? ვინ უწოდა შტიურმერს მოღალატე მის მეტად მისაღებ რუსეთისათვის სეპარატიულ საზავო პროექტის გამო? რუსეთის სახელმწიფო სათათბირო. უფრო ხმამაღლა ვიდრე ლონდონში და პარიზში პეტერბურგში გაჰკიოდნენ პატრიოტულ ომზე სრულს გამარჯვებამდე. ამ რუსის საზოგადოებრივ აზრის განწყობილებას ანგარიში გაუწია ინგლისის ელჩმა ბიუკენენმა, იგი მიიღო მთელი რუსეთის აზრად და ხელი შეუწყო რევოლუციურ გარდაქმნას და მონარქიის დამხობას. ინგლისელები მსჯელობდნენ ლოღიკურად: ნება მიეცით რუსის ხალხს გამოსცნოს თავისი ვინაობა და ის გაორკეცებული ენერგიით განაგრძობს ომს. რა მოხდა ნამდვილად? მოხდა ის, რომ არავინ მოისურვა ომის გაგრძელება. მისცეს თავისუფლება—და ხალხმა მყისვე დაჰყარა იარაღი და გაიქცა სახლში.

რამდენს ცდილობდნენ ინგლისელები, ფრანგები და თვით ამერიკელებიც რუსეთში ჭეშმარიტ დემოკრატიულ იდეების გადმოძებნისათვის, ჰგზავნიდნენ ცნობილ სოციალისტებს, რომელნიც ჰქადაგებდნენ მოწინავე ქვეყნების შეერთებას გერმანელთა მილიტარიზმის და მონარქიზმის წინააღმდეგ,—სულ ამაოდ. მათ ვერავინ დააჯერეს.

„მე ვერაფერი გავიგე თქვენს რევოლუციაში",—მეუბნებოდა პეტერბურგში ერთი ამერიკელი: „სად არის თქვენი პატრიოტიზმი, თავისუფლებისადმი მისწრაფება?" მე ვცდილობდი ამეხსნა, რომ მხოლოდ ამერიკაშია მიტინგები, ხოლო რუსეთში „მიტინკუები", რომ პორტუგალიაში შეიძლება გამოცხადდეს რესპუბლიკა, რუსეთში კი გამოვა „რეზ პუბლიკა" (გაწყვეტა ხალხი), ევროპაში არის დემოკრატია, ხოლო რუსეთში „დომოკრატია" (სახლიპარია), მაგრამ ამერიკელმა, ცხადია, სრულად გაიგო ჩემი სიტყვები.

ხოლო რუსების უახლოეს მეზობლებმა კი,—ნემცებმა, შვედებმა და ფინელებმა—შინაარსი და ხასიათი რუსის ცხოვრებისა შეითვისეს რიგიანად. რუსეთსა და ევროპის შორის განსხვავება მათთვის ცხადია. „ich cenne meine Russen"—„მე ვიცნობ ჩემს რუსებს"—გულკეთილად სთქვა ფელდმარშალ ჰინდენბურგმა, რუსეთის რევოლუციის ამბავი რომ შეიტყო. და მანამ ინგლისელები ახალ და არაჩვეულებრივ სამხედრო გამარჯვების მოლოდინში იყვნენ, გერმანელები ჩვენსკენ ჰგზავნიდნენ სპეციალურ „დამშლელების კამანდებს", და ამავე დროს უმთავრესი ძალები გადაჰყავდათ დასავლეთის ფრონტზე.

რევოლუციის პირველ დღეებში „ამხანაგ" კერენსკიმ ვალად ჩაითვალა გამგზავრებულიყო ჰელსინგფორსში. მან აქ გვირგვინი დადვა მეტად პატივსაცემ ფინელ მგოსნის რუნებერგის ძეგლს და წარმოსთქვა სიტყვა: „ამიერიდან ჩვენი ორივე ერი ხელიხელ ჩაკიდებული ივლიან, ლიბერტე, სამაგალი ბორკილები და სხვა და სხ." ფინელებმა თავაზიანად მოისმინეს სიტყვა, მაგრამ რუსის „ამხანაგის" წასვლისთანავე გამოაცხადეს სრული დამოუკიდებლობა რუსეთისაგან და რუსის მანეთის კურსი დაწიეს მის საზღვარ-გარეთულ ღირებულებამდე. გაზეთებში კი ისინი გულახდილად ჰსწერდნენ: „ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით რუსეთისა, და არა რუსეთის მთავრობისა. თუ პეტერბურგის დინასტიასთან ჩვენ გვქონდა კიდევ რაიმე საქმე, რუსის ხალხთან საერთო არაფერი გვაქვს".

და ამ სიტყვების სიმართლე დაუყონებლივ იქმნა დამტკიცებული შემდეგით: ფინეთში ძლიერი პატივისცემით ეპყრობიან იმპერატორ ალექსანდრე მეორის ხსოვნას, რომელმაც განახლა სეიმის სხდომები. ყოველწლივ 1 მარტს, მის ძეგლს ჰელსინგფორსში ზეიმით ამკობენ გვირგვინებით. რევოლუციის შემდგომ რუსის მატროსები და სალდათები სცდილობდნენ ამისათვის ხელი შეეშალათ. მაშინ ფინელებმა ძეგლს მიუყენეს ნაციონალური ყარაული და უნდა გენახათ სიძულვილით აღსავსე სახე იმ ხალხისა, რომელნიც გლეხთა განმანთავისუფლებელის, რუსის იმპერატორის ძეგლს იცავდნენ რუსებისავე ხელშეხებისაგან.

შვედებიც საკმაო სიფხიზლით ეცნობიან რუსეთს. ერთ-ერთ შვედების იუმორულ ჟურნალში ასეთს კარიკატურას შევხვდით: დიდ სცენის ესტრადაზე სასაცილო სამოსლებში მასხარაობდნენ რუსი რევოლუციური მოღვაწენი. ხალხში მჯდომი იმპერატორი ვილჰელმი ეკითხება თავის საგარეო საქმეთა მინისტრს: „რამდენი მიეცით ამ ჯენტლმენებს სულელური ცეკვისათვის"? „საქმეც იმაშია, თქვენო უდიდებულესობავ, უპასუხებს მინისტრი, რომ მოძმე ნაწილი მათგანი მუქთადა მუშაობს". როგორი ზედმიწევნით არის შეთვისებული რუსის რევოლუციური ბუნების მთელი ბრიყვული უაზრობა! შეადარეთ ახლა ეს იმ სერიოზულ მიზნებთან, რომელიც დაისახეს რუსის რევოლუციის ყოფილმა მოკავშირეებმა.

რუსის რევოლუცია ისევე ცოტა წააგავს ნამდვილ მისწრაფებას რესპუბლიკის და თავისუფლებისადმი, როგორც ოდნავადაც ჰგავდა რუსის გახრწნილი მონარქია გვირგვინოსან მთავარის მოვალეობის ნამდვილ აღსრულებას. და მე სავსებით მჯერა, რომ მოსკოვში ან პეტერბურგში ხელ ახლად შეუძლიანთ გამოაცხადონ მონარქია და ბევრი გუშინდელი უსაფუძვლო რევოლუციონერი შევა მასთან სამსახურში, ხოლო ოპოზიციაში დარჩებიან ისინი, ვინც ამ ჟამადაც მისხანე დაუნდობელი კრიტიკით ეპყრობა საქმის არსებითს მხარეს. რუსეთს ვერ იხსნის ვერც მონარქია, ვერც რესპუბლიკა და ვერც სოციალიზმი,—რუსის ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ ყველა უბედურების მიზეზი მასშივე ჰმარხია.

მაგონდება ძლიერ ნიშანდობლივი ანეკდოტი 1905 წლისა. ერთს შვეიცარიის სანატორიუმში დაბინავდა რუსის „სანოვნიკი", რომელმაც ფეხსალაგში შეამჩნია შვეიცარიისათვის შეუფერებელი უწესოება და სიბინძურე. ტაბლ-დოტიან (საერთო სასადილო სტოლი. რედაქცია) იგი შეჰხვდა თანამემამულეს, რომელმაც მას საუბარი დაუწყო რუსეთში კონსტიტუციის შემოღების საჭიროებაზე. სანოვნიკი მიჰხვდა, ვინ იყო დამნაშავე ჰქესა და უწესოებაში და ხმა მაღლა უპასუხა: „ვიდრე კონსტიტუციას მოითხოვდეთ, ისწავლეთ ფეხსალაგით სარგებლობა".

ასევე უნდა უთხრა ყველასავე რუსს მცირეოდენი გამონაკლისით. ისეთს დაბალ კულტურის საფეხურზე მდგომ სახელმწიფოსათვის, როგორიცაა რუსეთი, დემოკრატიზაცია ფრიად სახიფათოა. ბალტიკის ნემეცებმა, ფინებმა, პოლონელებმა—ყველამ თანაბრად აღიარა, რომ თუ მათ საერთო რამ ჰქონდათ პეტერბურგის ბიუროკრატიასთან, დემოკრატიულ რუსეთთან მათ საერთო ენა არა აქვთ და არც ექნებათ. და ცხადია ის, რომ რაც რუსეთში იყო ცოტად თუ მეტად განათლებული, სახელმწიფოებრივ-მომზადებული,—ყველა ეს ბუდობდა პეტერბურგში, რუსეთის პროვინცია კი სათამაშიროშიაც ჰგზავნიდა ისეთს ადამიანებს, რომელნიც შვეიცარიის სანატორიუმში ხშირად ვერ შესძლებენ ფეხსალაგით სარგებლობას.

კითხვა ამ ჟამად შემდეგშია—და ეს არის საბედისწერო, ტრაგიკული კითხვა რუსის ცხოვრებისა: მიაწოდებინებულია რუსის ადამიანი ისწავლოს რამე, თუ მისთვის უმჯობესია კვლავინდებურად დარჩეს უმეცარი და ველური. ეს საშინელი კითხვა რუსეთისათვის, ვინაიდგან ყველაზე შეწყნარებული რუსის მწერლებში—ტოლსტოი და დოსტოევსკი—იყვნენ კულტურის უარისმყოფელნი და აზროვნების ანარქისტები. მაგრამ ამაზე მოვესაუბრებით ცალკე.

ვ. თაპორინინი.

რუსეთის ამბები

ციმბირის ახალმა მთავრობამ ომსკიდან 10 ივნისს მოწოდება გაუგზავნა მოსკოვში სოვნარკომს, რომ ბოლშევიკების ძალა ციმბირში მოისპო და ციმბირის დროებითი მთავრობა არჩეული ციმბირის საოლქო სათათბიროსაგან, რომელიც შედგებოდა საერობო და ქალაქის თვითმართველობების, კოოპერატივების და ყაზახთა ეროვნულ საბჭოების წარმომადგენლებისაგან უკვე შეუდგა ციმბირის მმართველობას.

უახლოესი მიზანი ამ მთავრობისა არის აღადგინოს თვითმართველობების დაწესებულებისა ოთხფორმულიანი არჩევნების წესით და საჩქაროდ მოწვევა ციმბირის დამფუძნებელი კრებისა, რომელმაც საბოლოოდ უნდა მოაწყოს ციმბირის პოლიტიკური წყობილება და ევროპის რუსეთთან დამოკიდებულება.

ციმბირის დროებითი მთავრობა არა სცნობს რუსეთიდან გამოყოფას, იგი პირიქით სწუხს რუსეთის მძიმე მდგომარეობაზე და ჰპირდება სურსათის მიწვდას მხოლოდ იმ პირობით თუ ველიკო-რუსეთის მთავრობა არ შეეცდება ციმბირში ჩამოგდებულ სოვეტების აღდგენას, წინააღმდეგ შემთხვევაში საკითხს იარაღის ძალით გადაწყვეტს და სურსათის გზავნაც შეჩერდება.

—

რუსეთში მალე ძველი ფულის მაგიერ ქაღალდის ახალ ფულს შემოიღებენ. იქნება 1, 3, 7—50, 10, 12, 15, 20, 50 მანეთიანი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსეთი და საქართველოს ტრაგიზმის ისტორიულ-ფილოსოფიური ანალიზის ცდა

ამ ახლო მომავალში ბ-ნი გ. მამრაძე თბილისში და საქართველოს სხვა ქალაქებში წაიკითხავს ორ ლექციას შემდეგის სათაურებით: 1) „ქართლის ბედის" უკუღმართობა და საქართველოს ტრაგიზმი; 2) თანამედროვე საერთაშორისო ომი და მომავლის პერსპექტივები. პირველ მოხსენების თეზისები, ე. ი. დებულებანი შემდეგია:

1) ევროპის თანამედროვე ზოგიერთ მეცნიერთა აზრით ქართველთა ერი უნდა ენათესავებოდეს სუმერ-ხეთელთა მოდგმას, რომლის განვლილ შტოთა კულტურაზედაც აღმოცენდა როგორც ძველი ელინთა, აგრეთვე ძველი რომის კულტურაც. (მიხაკო წერეთლის ტერმინოლოგიით კაცობრიობის ამ შტოს „ქართული რასა" ეწოდება).

2) ქართველთა ეროვნულ სულის შემოქმედება მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეებში არამც თუ ასწრებს რამოდენიმე საუკუნით ადრე, არამედ უსწრებს კიდევაც მთელ ევროპის აგრეთვე წოდებულ „აღორძინების" ხანის შემოქმედებას. (ბალმონტის აზრი „ვეფხის ტყაოსნის" შესახებ; ნიკო მარისა და სხვა სპეციალისტთა გამოკვლევანი პლატონიზმისა და საერთოდ ძველ ელინთა ფილოსოფიის გავრცელების შესახებ საქართველოში). მაგრამ ულმობელი და სასტიკი იყო „ბედი ქართლისა": ისტორიის შარა გზაზედ მომწყვდეული საქართველო არ ასცილებია თითქმის არც ერთ ბარბაროს ხალხთა ტალღების ცემასა და გრგვინვას—ამიტომ.

3) დავით აღმაშენებლისა და თამარის მიერ გაერთიანებულ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ დაყოფისა და დაქსაქსვის შემდგომ—„ქართლის ბედის" უკუღმართობა და საქართველოს ტრაგიზმი მდგომარეობდა იმაში, რომ ქართველთა ერის „სულიერ" საუნჯის განვითარება მოითხოვდა სრულიად საქართველოს გაერთიანებას, მაგრამ—ამავე დროს კი მისი ისტორიულ-სტრატეგიული და გეოგრაფიული მდგომარეობანი მოითხოვდენ საქართველოს მრავალთავიანობას და ფეოდალურ სამთავროებად დაყოფას, ვინაიდან მხოლოდ ამით შეიძლებოდა ქართველი ერის „ხორციის" შენარჩუნება და გადარჩენა (ზურაბ ავალიშვილის შრომა: „საქართველოს რუსეთთან შეერთება").

4) საქართველოს რუსეთთან შეერთება 1783 წლის ტრაქტატით წარმოადგენს ისტორიულ აუცილებლობას, ვინაიდან საქართველოს არ შეეძლო საკუთარის საშუალებებით დაეხსნა თავი „ქართლის ბედის" უკუღმართობისაგან.—მაგრამ ჩრდილოეთიდან გამოწვდილი ერთმორწმუნის ხელი ძმური ნუგეშისა და ხსნის მაგიერ—საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკურ მონობის ბორკილად შეიცვალა. მიზეზი:

5) უძლეველი უთანხმოება, რომელიც არსებობდა საქართველოსა და რუსეთის მიერ დასახულ მიზნებსა და ამ მიზნების მისაღწევ საშუალებათა შორის. ამიტომ:

6) მთელ მე-19 საუკუნის განმავლობაში დღევანდლამდე მოყოლებით, საქართველო განიცდიდა (თუმცა ერთგვარის განსხვავებით, მაგრამ არსებითად კი) იმავე უკუღმართობას, რომლითაც მოცული იყო საქართველოს პოლიტიკურ დაქუცმაცებისა და დაქსაქსვის შავბნელი ხანა, ვინაიდან რუსეთთან შეერთების ხანაშიაც მრავალტანჯულ საქართველოს „სულსა" და „ხორცს" შორის კვლავ განუწყვეტლივ თანსდევდენ ერთი-მეორის მოწინააღმდეგე ფაქტორები: სახელდობრ—რუსეთთან შეერთების შემდგომ—ტერიტორიალურ-ეკონომიურად და ეროვნულ-კულტურულადაც გაერთიანებულ საქართველოს ორგანიული განვითარება—ე. ი. მის ბუნებრივ ძალთა განვითარების შეუზღუდველი შეძლებლობა მოითხოვდა ახალ ევროპიულ კულტურის ფართე თავისუფალ შეთვისებას,—ანუ საღ ეროვნულ რეალიზმის წარმოშობას, რაიცა საჭიროებდა ეროვნულის კაპიტალით შეიარაღებულ ბურჟუაზიის გამოსვლას, როგორც ქართველთა ერის მოწინავე კლასისას, მაგრამ—ამავე დროს კი—თუმცა ისტორიულის აუცილებლობით, მაგრამ მაინც მახინჯად შემოჭრილ ძველ რუსეთის იმპერიალიზმის მიერ ჩვენში ახლად დამყარებული სოციალ-ეკონომიური და ეროვნულ-პოლიტიკური მდგომარეობანი მოითხოვდენ ჩვენგან ამ საღ ეროვნულ რეალიზმის უარყოფას.—ამიტომ:

7) ვერც ერთი ეროვნული მიმართულება ვერ იდგამდა ფესვებს ქართველ ხალხის ფართე მასაში და ყოველივე მათგანი იღებდა ჩვენში ან წმინდა რომანტიულს ან და იდეალისტურ-უტოპიურ ელფერს—ამიტომ ერთად-ერთ შესაძლო რეალიზმად გადიქცა ჩვენში არა წმინდა ეროვნული, არამედ ინტერნაციონალური მიმართულება. (მესამე დასელების ანუ ქართველ სოციალ-დემოკრატების ისტორიული დანიშნულება საქართველოში).

8) მარქსიზმისა და ქრისტიანიზმის საერთო ხაზები: უნივერსალიზმი, ელინისა და ბარბაროსის განურჩევლობა, ორივე ტანჯულთა და ჩაგრულთა მცნებაა, ორივე მთელის სამოთხის დამყარებას—პირველი მათგანი მიწიერის სამოთხე—მეორე საიქიო სამოთხეს, ორივე ხელს უწყობს ცენტრალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის განვითარებას, მაგრამ რამდენადაც ქრისტიანიზმი ანგრევს ძველი რომის იმპერიას, იმდენად მარქსიზმიც დაანგრევს თანამედროვე ეპოქის სახელმწიფოებრიობას და სახელმწიფოებრივ ფორმაციის შემდგომ ჩამოყალიბების საქმეს უმთავრესს მიზნად დაუსახავს განთავისუფლებას ეროვნობისას, რომელსაც იგი თითქოს არ სცნობდა და რომლის წინააღმდეგაც იგი თითქოს იბრძოდა მთელის თავის არსებით.

9) რუსეთი განიცდის საქართველოს ტრაგიზმის დიამეტრიალურ უკუღმართობას: საქართველო გმინავდა უსხეულობითა უსისხლობით, რუსთა სული ვერ სუნთქავდა მეტ სხეულობითა და მეტ ხორცობით.

10) „რუსთა ბედის" და იმპერიის უკუღმართობის გაუხსნელი კვანძი: მასაც ვერ შეეძლო საკუთარის საშუალებებით დაეხსნა თავი თავისი უკუღმართობისაგან, ვინაიდან „რუსთა ბედის" უკუღმართობის და იმპერიის ტრაგიზმის გადაწყვეტა შეიძლებოდა მხოლოდ იმპერიის დანგრევით.

11) თანამედროვე ისტორიული კატასტროფა, როგორც ისტორიის სამართალი, რომლის წინაშეც მარცხდება ძველი თვითმპყრობელური რუსეთი.

12) რუსეთის რევოლუციის ჯერ კიდევ შეუმცნელი და განუზომელი სიდიადე: პირველ გოლგოთის სასწაულს რუსეთის გოლგოთაზე ისტორიულ რეალობად გამოეწვევია: რუსეთის რევოლუციამ გაკვეთა გაუხსნელი მახინჯი კვანძი, როგორც რუსთა ბედის უკუღმართობის, აგრეთვე სხვათა შორის „ქართლის ბედის" უკუღმართობისაც. (19 ნოემბრის თარიღი, როგორც ამისი მოწმე: საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა).

13) მომავლის პერსპექტივები: საქართველო უნდა შეიქნეს აღმოსავლეთისა (აზიის) და დასავლეთის (ევროპის) კულტურათა უმაღლეს სინთეზის გამომხატველად.

თბილისის ქართულ საფილარმონიო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების სამუსიკო სკოლაში მომავალ 1918—1919 სასწავლო წლიდან სახმარებლად ქართულ ენაზე დაწერილ ელემენტარულ თეორიის, პირველ დაწყებითი სოლფეჯიოს და ჰარმონიის კურსის სახელმძღვანელოების შემდგენელთათვის დანიშნულია პრემიები. პრემიის პირობები 1) ელემენტარული თეორია—ვადა ნაწარმოების წარმოდგენისა 1918 წ. სექტემბრის 15-ს, ჯამი პრემიისა—300 მან. 2) პირველ დაწყებითი სოლფეჯიო ქართულ ეროვნულ ნიმუშებით, პროგრამა უნდა უდრიდეს კონსერვატორიებში მიღებულ პირველ კურსის პროგრამას. ვადა ნაწარმოების წარმოდგენისა—1918 წ. სექტემბრის 15-ს, ჯამი პრემიისა—800 მანეთი, 3) ჰარმონია სანიმუშო ამოცანები უნდა იყოს, როგორც ევროპიული, აგრეთვე ქართული კილოსი, სასურველია, რომ შემდგენელმა ისარგებლოს ცნობილ მუსიკო-პედაგოგთა სახელმძღვანელოებით, თვით მეთოდია სახელმძღვანელოსი შეძლებისდაგვარად—უნდა უახლოვდებოდეს რიმსკი-კორსაკოვის სახელმძღვანელოს თუ სრული სახელმძღვანელო არა პირველი ნაწილი მაინც (მოდულიაციამდე) საჟიურო წარმოდგენილ იქნას არა უგვიანეს 1918 წ. ოქტომბრის 1-ს, ჯამი პრემიისა—1000 მან.

სპეციალური სამუსიკო ტერმინები სახელმძღვანელოებში უნდა დარჩეს იგივე, რაც მიღებულია საზოგადოდ მსოფლიო სამუსიკო ლიტერატურაში. სახელმძღვანელოები, ავტორის მიერ ხელმოუწერელი გამოგზავნილ უნდა იქმნეს დალუქულ კონვერტში საზოგადოების გამგეობის სახელზე (სლეპცოვის ქ. № 4) ზედ-წარწერით ქურის გადასაცემად, რომლის შემადგენლობაც გამოცხადებული იქნება თავის დროზე. (1—969—4)

სამშაბათს, 9 ივლისს, საღამოს 7 ს. სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საქ. ერ.-დემოკრატ. პარტიის ქ. თბ. 2-ე რაიონის [illegible] წევრთა საზოგადო კრება

გ. შალიბაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ქართველი ერის სულიერი მდგომარეობა და მისი მისწრაფება საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან დღევანდლამდე". 2—1

თბილისის ქალ. თვითმართველობა

აცხადებს, რომ სამშაბათს 9 ივლისს შუადღის 12 ს. ქალაქის გამგეობის შენობაში დანიშნულია იჯარით გაცემა (ტორგი) მიხეილის პროსპექტის მოკირწყვლისა. იმ პირთ, ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ტორგში, შეუძლიათ გაეცნონ კონდიციებს (პირობებს) საადმინისტრაციო განყოფილების კანცელარიაში ორშაბათს და სამშაბათს საქმის წარმოების დროს. 2—977—1

პარასკევს, 5 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საქართ. ერ.-დემ. პარტიის ქ.თბილისის 2-ე რაიონის მე. წევრთა საზოგადო კრება

გ. შალიბაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ქართველი ერის სულიერი მდგომარეობა და მისი მისწრაფება საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან დღევანდლამდის". 3—1

მოითხოვეთ სამკურნალო

ბორჯომის წყალი

ერთად ერთი წარმომადგენელნი მიწად-მოქმედების სამინისტროსი, ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმით (პარტიობით) მყიდველებს, რომ ფას-დადებით და ნისიად წყალი არავის გაეგზავნება. შეკვეთების დაუყოვნებლივი მიწოდება უზრუნველყოფილია. მისამართი: ბორჯომის კანტორა „ბორჯომექსპორტი". 10—973—4

განცხადება

ბორჯომის მამულის მიმღები კომისია.

ამით აცხადებს, რომ ბორჯომის მამულის შუშის ქარხანაში 7 ივნისიდან განახლდა მუშაობა, სადაც ამზადებენ „კონიაკის", „[illegible]" და „კეფირის" ბოთლებს, ფეხსაცმლის მაზის და სხვა და სხვა ზომის აფთიაქის შუშებს; ახლო მომავალში დაიწყება გამოშვება ლამპის შუშებისა და ჭიქებისა. ამ ჟამად ქარხნის საწყობში გასასყიდათ დამზადებულია შემდეგი ბოთლები:

„შამპანიურის" ბოთლები 1/6	78240 ცალი.
„ბორდო" „ 1/20	58664 „
„კეფირი" „ 1/10	23408 „
ბოთლები 1/4 ვედროსი	12155 „
ბანკები 12 გირვანქის	713 „
„ 15 „	1007 „
„ 20 „	448 „

ბორჯომის მამულის სახერხავ ქარხნებში

(ბორჯომში და ხუმბათოვში) გასასყიდათ დამზადებულია შემდეგი სააშენებლო მასალები:

ფიცრები 4 საჟ., 3 საჟ. და 2 საჟ.	10130 ცალი
კოჭები 4 საჟ., 3 საჟ., და 2 საჟ.	1725 „
ხიდის კოჭები 2,5 საჟ. და 1,5 საჟ.	160 „
რეიკები 4 საჟ. და 3 საჟ.	4000 „
შპალები ვიწრო ლიანდაგის 0,95	12200 „
„დრანკი" კედლების შტუკატურკისათვის 2 ადლი 12 გოჯი	85000 „
„შტაკეტები" 2 ადლი 2 ნახევარი გოჯი.	7800 „

ყოველგვარი ცნობების მისაღებათ მყიდველებმა უნდა მიმართონ ბორჯომის მამულის მიმღებ კომისიას ქ. ბორჯომში.

ბორჯომის მამულის მიმღებ კომისია. (4—1672—4)

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის ორგანიზაციის გამგეობისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მთელი პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში, ნაცვლად წინანდელის დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან გაუქმებულად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად სახელდობრ:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკედან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა ნაპირის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ხიდიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ხიდიდან ორთაჭალამდე.

თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო რაიონთა კომიტეტისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე. (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დ 2 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

ნ. ლ. ტერიაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, სამეანო და საშვილოსნო სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7, სიმონოვიჩის აფთიაქის გვერდზე. 2 თვ.—1658.

ექიმი

გ. ლ. ხანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (ფსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

ექიმი

მ. წინამძღვრიშვილი

თიბათვესა და მკათათვეში იღებს ავადმყოფთ ქ. გორში 6—7 საათამდე, დეკანოზ ი. კაპანაძის ბინაზე

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

[illegible] ექიმ მ. მ. მძინარიშვილის და დ. მ. ნაზარეთიანის

სამკურნალოში იარსებებს კბილის ავადმყოფთ კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნი" ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—6 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს მეშვეობით) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოვ"ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

გაიხსნა

თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინომატოგრაფი „აპოლო"-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

ქალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. ქალაქის კლინიკისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებით ავადმყოფებს მიიღებს დილით 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—44

სტამბა „ერთობა" [illegible] № 4.